№ 81 19 აპრილი, ხუთშაბათი 1866—1879 19 აპრილი, ხუთშაბათი № 81

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მ.ნ., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივ-ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1879 წელს გაზეთი

## „დროება“

გამოდის მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

### ხელის-მოწერა

თფილისში მიიღება რედაქციაში. ბაღის ქუჩაზე გ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

### გაზეთის ფასი

| | |
|---|---|
| მთელის წლისა — — | 8 მან. |
| ექვსის თვისა— — — | 5 მან. |
| სამის თვისა— — — | 3 „ |
| ერთის თვისა— — — | 1 „ |

პირველი აპრილიდამ წლის დამლევამდინ 6 (ექვსი) მან.

ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**პეტერბურღი**, აპრილს. უმაღლესი სამსჯავროს თავსმჯდომარეთ დაუნიშნავთ სტატს-სეკრეტარი ურუსოვი. პორტამ დანიშნა სერმენ-მფენდი სერბიის ელჩათ. 18 აპრილს ტოტლებენი წავა ოდესაში; გრაფი ლორის-მელიქოვი დღეს მიდის ხარკოვში. ამბობენ, რომ ჩინეთის თხოვნამ ფუჭათ ჩაიარა. რუსეთის მმართებლობამ ჩინეთს უარი განუცხადა ქულჯის მიცემაზე.

**ვენა**, 14 აპრილს. გრაფ შუვალოვს ძალიან ყურადღებას აქცევენ. გაზეთებს სხვა-და-სხვა ჰაზრი გამოჰყავთ იმის ჩამოსვლაზედ.

**პეტერბურღი**, 16 აპრილს. „მმართებლობის უწყება“ გვატყობინებს, რომ ხელმწიფე იმპერატორი, დიდი კნეინა ალექსანდრა იოსების ასული და დიდი თავადი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მშვიდობით მივიდნენ ლივადიაში. ტავრიდის ღუბერნია ემორჩილება ოდესის დროებით ღენერალ-ღუბერნატორს.

**ვენა**, 15 აპრილს. გრაფი ანდრაში და შუვალოვი ხშირათ არიან ერთათ. არა-რა დაბრკოლება არა არის-რა; შუვალოვი დაეთანხმა ანდრაშის იმაზედ, რომ, თუ საჭიროება მოითხოვს, აღმოსავლეთის-სუმელიის კომისიას შეეძლება ოსმალოს ჯარების მოწვევა. პირველ წლის განმავლობაში ოსმალებს ნება არ ექნებათ ბალკანიის შესასვლელ ალაგები დაჭერისა.

**სტამბოლი**, 13 (25) აპრილს. ავსტრიისა და ოსმალოს პირობა მდგმოიარებს შემდეგში: ავსტრიას შეეძლება ნოვი-ბაზარის დაჭერა ორი თვის უკან შემდეგ პირობის შეკვრისა; ავსტრიელებს ნება არა აქვთ, რომ დაიჭირონ რაგანიცკის გადასავალი, სოლონიკის გზა და მარჯვენა ლიმის ნაპირი. დანიშნული აქვთ სამზღვარი ავსტრიის ჯარებს, რომელნიც იდგებიან ნოვი ვარშავში, პერეპოლკში და ბილაპოლკში; ამ დანიშნულ საზღვრებს არ უნდა გადაჰსცილდნენ.

## საქართველო

### დღიური

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ თბილისელი ახალგაზდები აპირებენ ერთი დიდი წიგნის გამოცემას მიცვალებული ბეს. ღოლაბერიძის სახსოვრად. წიგნის სახელათ ერქმევა „ლიტერატურულ საღამო“ რომელშიაც იქნებაო დაბეჭდილი ბელეტრისტიული და კრიტიკული სტატიები და ახალგაზდა მოსწავლე ყმაწვილების ლექსები.

*** გაზეთ „გოლოსში“ იყო დაბეჭდილი, რომ 5-ს აპრილს სახელმწიფო რჩევაზე უნდა გარჩეულიყო კავკასიის დიდი მთავრის წინადადება, რომ შემოიღონ, ახალ შემოერთებულ რუსეთთან ოსმალეთის ადგილებში, აქციზი. ამის თაობაზედ ლაპარაკი იყოაღრე ამ ზემოხსენებულ რჩევაში, მაგრამ რადგან დროებით შერიგება მოხდა რუსეთსა და ოსმალეთს შუა, ამის გამო გადასდევს ეს საქმე სრულ შერიგებამდინ. ახლა კი არტაანის და ბათუმის მაზრებში იქნება შემოღებული აქციზი იმავე წესით როგორც კავკასიაშია და დაემორჩილება კავკასიის აქციზის გამგეობას.

*** რედაქციაში მოგვივიდა ამბავი, რომ მის მაღალ უსამღვდელოებას ეპისკოპოზს ალექსანდრეს, რომელმაც ოცი თუმანი შესწირა წიგნის გამოსაცემათ, ახლა განუზრახავს იმ ფულით გამოსცეს ერთი ისტორიული წიგნი საქართველოს ცხოვრებიდამაო.

*** „ბაქოს უწყებებში“ დაბეჭდილი ასტრახნის გუბერნატორისაგან მოწერილი ტელეგრამმა: ასტრახანში აღარაფერი ავათმყოფობა აღარ არისო და კარანტინიც აიხსნებაო.

### „დროების“ კორრესპონდენცია

**დ. ონი**, 7 აპრილს 1879 წელსა. როდესაც ვიღებ კალამს აღსაწერად იმ გარემოებისა, რომელიც ასრე ძალიან აწუხებს ყველა რაჭის უეზდში მცხოვრებთა თავადიდამ-დატაკ გლეხამდე მე ვინატრი, რომ ეს გარემოება, არ დაშთეს ხმად მღაღადებელისა უდაბნოსაშინა. ჭეშმარიტად გასაკვირველია, რომ ამ დროშიაც, როდესაც თითქო ყოველი წესიერება დამყარებული უნდა იყოს, არამც თუ კაზიონნი პალატაში, არამედ სოფლის საგლეხო სასამართლოებშიაც—თავსმჯდომარე კაზონნი პალატისა, რაღაც გულგრილად ეხება ინტერესების დაცვას ხაზინისა და საზოგადოებისა. აი რაშია საქმე: 1874 წელში ფინასთ მინისტრმა აცნობა დიდს მთავარს ნამესტნიკს კავკასიისას, რომ ყოვლად მოწყალე ხელმწიფე იმპერატორმა კეთილინება ბრძანებად: „რაჭის „მაზრის სასამართლოში, რომლის სამ„ყოფელი ადგილი არის დ. ონში, და„წესდეს ყოველ გვარის ღერბის ქაღალ„დის გასყიდვა, რადგან დ. ონში არ „არსებობს არც ხაზინა და არც სხვა „ისრეთი ადგილი სადაც იყიდებოდეს „ღერბის ქაღალდი და რადგან ამ მიზეზით „მრთლად უეზდში მცხოვრებნი მეტად „შეწუხებულნი არიან. ღერბის ქაღალდი „უნდა გაეგზავნოს მაზრის სამმართვე„ლოს განკარგულებითა კაზიონნი პალატისა“ და სხ. და სხ.

ამ გვარის მოწყალებით ხელმწიფისა აქაურ მაზრაში მცხოვრებნი განთავის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლებულ იყვნენ, ამ უკანასკნელს დრომდე, იმ გაჭირვებულის მდგომარეობისგან, რომელშიაც იყვნენ იგინი ადრე, მაგრამ ეხლა კი, როდესაც ახალი კანონები, ღერბის ქაღალდის ხმარებაზე, შემოვიდა მოქმედებაშიდა როდესაც ყოველი თხოვნა, საბუთი, ბილეთები და სხ. უნდა უსათუოდ ღერბის ქაღალდზე დაიწერონ, ჩვენ უარეს მდგომარეობაში შთავცვივდით.

2-ს მარტს ამა წლისა მოაწია აქ მთავრობის განკარგულებამ მასზედა, რომელ ნაცვლად 40 კაპიკიანი მარკისა, დაწესდა 60 კაპეიკიანი და სხ. სამწუხაროდ ამ განკარგულების მოწევნის დროს ღერბის ქაღალდები და მარკებიც ცოტაღა იყო მაზრის სამმართველოში. ამის შემხედველმა მაზრის მმართველმა, იმავ დღესვე (2-ს მარტს) სთხოვა კაზიონნი პალატას, რომ დაუყოვნებლივ გამოგზავნილ იყოს აქ ღერბის ქაღალდები, და ამ საშუალებით არ შეყენებულიყოს მრთლად მაზრამ საქმის წარმოება, საბუთების შედგენა და ბილეთების ძლევა. მაზრის მმართველი თხოულობდა, რომ პირველივე ფოჩტით გამოგზავნილიყვნენ ქაღალდები, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენდა და მიუხედველად მის, რომ ორჯელ გაიგზავნა განმეორებით მოთხოვნილება,—დღევანდელს დღემდე პასუხის ღირსიც ვერ გავხდით და დღეს მოვიდა მოწერილობა კაზიონნის პალატისა, რომელიც აცნობებს მაზრის მმართველს რომ სანამ პალატას არ წარედგინება ცნობები: რამდენი ფურცელი „ღერბის ქაღალდი და რომლის ღირსებისა „არის დაშთენილი გაუსყიდველად, „იმ ქაღალდისაგან, რაც წინეთ იყო „გამოგზავნილი, რამდენი გაისყიდა და რა ღირსებისა,—პალატა ვერ მოახ„დენსო განკარგულებას ღერბის ქაღალ„დის გამოგზავნაზეო. ამასთანავე ქაღალდიანათარ შეიძლება იყოს მაზრის სა„მმართველოში წინეთ მიღებული „ესე იგი რაც ეხლა გაუყიდველი არი„სო და რაც ეხლა ითხოვება, უმეტეს „150 მანეთისაო.

ან განზრახვით გვაწვალებენ, ან არ უნდათ მიიღონ კაზიონნი პალატაში მოსამსახურეთა შრომა და მონახონ საქმეში რაჭის მაზრის სასამართლოდამ წარდგენილი ანგარიში შესახებ მისა, თუ რამდენი ფურცელი იყო აქ ქაღალდი რამდენი გაისყიდა და რამდენი დარჩა გაუსყიდლად. ეს ანგარიში იგზავნება პალატის მოთხოვნილებით ქუთაისის ხაზინაში ყოველ წლობით უფრო დასაჯერებელია რომ არვინ არ აქცევს ყურადღებას არც ზემორე მოყვანილს ყოვლად მოწყალე ხელმწიფის ბრძანებას და არც 104 მუხლს ახალის კანონებისა შესახებ ღერბის ქაღალდის ხმარებისა (Прилож. къ ст. 2 по продъ 1876 св. зак. т. V. усш. о пот.) რომლის ძალითაც დამნაშავე უქონელობაში ღერბის ქაღალდისა გასაყიდლად, ექვემდებარება გამორიცხვასა მესამედის ნაწილისა წლიურის ჯამაგირიდამ.

როგორც უნდა იყოს, ჩვენ კი გაჭირვებულნი ვართ, ბევრს ჩვენგანს ვექილოა ვერ მოგვისწრია ვადაზე მარკის უქონელობით, ბევრი საჩივრები ვერ შეგვიტანია და ბევრი საბუთები ვერღარ შეგვისრულებია და სხ. და სხ. აქამომდე იმ იმედით ვიყავით დამშვიდებული რომ ყოველის ფოჩტით ველოდით ღერბის ქაღალდს და ეხლა მეტი საშუალება არ გვშთება: ყველანი ქუთაისს უნდა წავიდეთ ქაღალდის სასყიდლად და ნაცვლად აბაზის ან სამი აბაზისა გზის ხარჯად 10 მანეთამდე უნდა ვიქონიოთ მოცდენა და შრომა სხვა იქმნება.

დიდს სამადლობელ საქმეს იქმს, ვისგანაც რიგი რომ მიაქციოს ამ ჩვენს გაჭირვებას ყურადღება.

ძრამაგელი

---

## წერილი რედაქტორთან

—

უფალო რედაქტორო! ზეშინდელ მე 80 „დროების“ ნომერში სხვათა შორის დღიურ-შენიშვნეებში იყო ჩართული ერთი შენიშვნა, ვითომ შესახებ სასულიერო სემენარიისა; ამ შენიშვნაში არის მოხსენებული, ვითომ სემინარიის ყმაწვილებს ძველის ხორაგეულისას უმზადებენ საჭმელებს, ამასთანავე ისე ცოტას, რომ ყმაწვილები თითქმის ნახევარზე მშიერი რჩებიანო; სადილზე და ვახშამზე თითო ნაირ საჭმელს აძლევენო და ისიც ისე უგემურს და ძველის მასალებისგან, რომ ყმაწვილებს ვერ უჭამიათო. ამის შესახებ მე უნდა მოგახსენოთ, როგორათაც ცოტა არა მაინც ვალდებული ვარ მაწევს კისერზედ, რომ ესენი ყოველივე, რაიცა მოხსენებული არს ამ 80 ნომერში, არც ერთი არა მომხდარა-რა სემენარიაში, და არამც თუ მომხდარა, მგზავსებაც კი არაფერს ჰქონია იმათთან. ამის დასამტკიცებლათ მე შემიძლიან გულადათ და დარწმუნებით ვსთქვა, რომ ერთსაც ვერ შეუძლიან გამოაცხადოს დათანხმება, მე 80 ნომერში მოხსენებულზედ.ამასაც მოგახსენებთ, რომ ჩვენს სემინარიაში არას დროს არ ყოფილა (არც მარხვით და არც სხნილით), ერთი ხელი საჭმელი. ისე დღით ორ ორი და ხან სამ ნაირიც, მარხვით და დღესასწაულ დღეებში ხომ სამ ხელზე ნაკლები არა ყოფილა. გარდა ამისა რაც შეეხება მოხელეებს, უნდა მოგახსენოთ, რომ ძველი დამპალი ჩემს იქ ყოფნაში არ მოსულა და სხვ. ერთის სიტყვით თქვენ შეგიძლიანთ, რომელსაც გინდა სემინარიელს ჰკითხოთ, თუნდა მოსამსახურეს, და მაშინ გაიგებთ ნამდვილს. თქვე დალოცვილო, განა სასულიერო სასწავლებელი და სემენარია ქალაქში ერთის მეტი და იგივეა? იქნება იქ იყო და არა ჩვენს სემენარიაში. ამიტომ გთხოვ, რომ ამ ჩვენს შენიშვნასაც, ცოტათი სიმართლის მქონეს, მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთში და აცნობოთ, რომ ეს ვაი ვაგლახი სასულიერო სემენარიაში კი არ მომხდარა და ხდება.

ს. ე. შ.

1879 წ. 18 აპრილს.

უფ. რედაქტორო!

„დროებაში“ (№ 77) დაბეჭდილია წინა-სტატია შესახებ „ქუთაისის ბანკის თაობაზედ მოძოაობისა“. მე ვილასაც დაუბეზღებივარ იმ სტატიაში თქვენთან და თქვენც მაბეზღებთ მკითხველებთან. ის ჩემი დამბეზღებელი ამბობს, ვითომც სამს პირს, რომელთაც ასახელებს, გადაეწყვიტოს ბანკის განმგებლად მამიჩემის მოწვევა და ვითომც მე ეს გადაწყვეტილება მეცნობებინოს მამი-ჩემისათვის, როგორც მრთელი იმერეთის საზოგადოების მტკიცე სურვილი.

ჯერ ერთი ესა, რომ ხსენებული სტატიის წაკითხვამდინ არც კი გამეგონა, რომ იმ სამ კაცს ჰქონოდეს რჩევა და გადაეწყვიტოს მამიჩემის მოწვევა ბანკის განმგებლად.

მეორე ის, რომ არც ბავშვი და ბალანა ვარ, რომ სამი კაცის აზრი მრთელი იმერეთის სურვილად მიმელო და არც არაფერი ყურ-მოჭრილი ყმა და ბრმა-პატივის-მცემელი ვარ იმ სამი კაცისა, რომ იმათი აზრი ბევრათ რათმე ჭიმელო, არც შარლატანი ვარ, რომ ამისთანა ტყუილი მიმეწერა მამიჩემისათვის.

ამ ბებრულ ჭორზედ, მოგონილზედ და შეთხზულზედ, არ მინდოდა ყურადღება მიმექცია, ამიტომ რომ ვინ იცის მოცლილი კაცები, ქუჩა-ქუჩა მაწანწალები, რა ჭორსა და რა ტყუილებს გამოიგონებენ. მაგრამ რა კი ამისთანა მაწანწალური ტყუილი თქვენს გაზეთში დაიბეჭდა, წინა-სტატიაში ადგილი იშოვნა, მოვალე ვარ მოგახსენოთ, რა ნაირად იყო საქმე.

მამა-ჩემი წარსულს მარტში მოვიდა ჩემთან ქუთაისში, როგორც წინეთაც მოდიოდა ხოლმე ხშირად თითო ან ორ-ორი დღით ხან თვეში, ხან ორ-თვეში ერთხელ თავისი პატარა შვილიშვილების, ესე იგი ჩემი შვილების დასახედავად. იმ დროს ლაპარაკი იყო ბანკის განმგებლის ამორჩევაზედ და ზოგი ერთმა პირმა, რომელთაც შეხვდათ მამიჩემის ნახვა, ჩამოაგდეს სიტყვა, თუ იკისრებს მამაჩემი ბანკის განმგეობას, საზოგადოებამ რომ მიანდოს. იმ პირთა შორის იყო გუბერნიის მარშალი კნ. ნესტორ წერეთელი. რასაც ჩემი დამბეზღებელი გწერსთ მარშალზედ, ისიც ცოცხალი ტყუილია, ბავშურად გამოგონილი და ბალნურად შეთხზული.

კნ. ნესტორ წერეთელმა პირველმა მიჰმართა მამაჩემს ეს კითხვა და შემდგომ იმისა მრავალმა სხვამ, ვინც კი შეხვდა მაშინ მამაჩემს.

თქვენი სტატიის დამწერი ამბობს „მარშალს ეწყინაო, რომ იმ სამმა კაცმა მას არ დაეკითხაო“. ვინც რომ საქართველოს იცნობს მამიჩემის ამბავიც იცის, თავის დღეში არ იტყვის, რომ ან კნ. ნესტორ წერეთელს, ან სხვას ვისმე ამისთანა კაცს ეწყინოს დიმიტრი ყიფიანის დასახელება საზოგადო, საქვეყნო და საერთო საქმეში.

ამაში, დარწმუნებული ვარ, თქვენც დამეთანხმებით.

ამასთანავე, უნდა მოგახსენოთ, რომ მე არასფერი, არც ერთი სიტყვა არ მიმიწერია მამიჩემისათვის იმ ხანებში შესახებ ბანკისა, ან ბანკის მმართველად მისი მოწვევისა.

რაიცა შეეხება პასუხს, რომელიც მისცა მამაჩემმა კნ. ნესტორ წერეთელს და სხვა პირთა, ვინც ჰკითხავდა, თუ იკისრებს ბანკის მმართველობას, მამაჩემმა მომანდო ეს პასუხი გამოუცხადო ყრილობის დროს მრთელს საზოგადოებას.

ნიკოლოზ ყიფიანი

1879 აპრილის 15
ქ. ქუთაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი

საფრანგეთის კლერიკალური გაზეთები გვატყობინებენ, რომ 15 აპრილს პარიჟში ყოფილა ყრილობა კათოლიკებისა, პარიჟის არხი-ეპისკოპოზი შენგლონის თავს-მჯდომარეობით, რომელსაც წარმოუთქვამს სიტყვა შესახებ უმაღლეს სწავლაზედ. იმ სიტყვაში სხვათა შორის ის ამტკიცებდა, რომ მტრები იქნებიან დამარცხებულნი და სამღვდელოებას ექნება სწავლაზედ იგივე უფლება, რომელიც აქამდისინა ჰქონია.

— 13 აპრილს საფრანგეთში ჯარების შესადგენათ მოიწვიეს იმისთანა პირები, რომელთაც შეუძლიანთ სამხედრო სამსახური და რომელნიც 1872 წელს სალდათობიდამ განთავისუფლებულნი ყოფილან. უწინ ნასწავლ ყმაწვილებს იყვანდნენ სალდათათ და ახლა როგორიც უნდა იყოს არ დასდევენ.

## რუსეთი

დროებითი ღენერალ-ღუბერნატორი ღენერალ-ადიუტანტი ტოტლებენი და გრაფი ლორის-მელიქოვი 14 აპრილს კურიერის პოეზდით წავლენ დანიშნულ ალაგებზედ: პირველი — ოდესაში და მეორე—ხარკოვში.

# განცხადებანი

პარასკევს, 20 აპრილს, საზაფხულო თეატრში ქართული სცენის სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება:

**ეჭვით ავათმყოფი**

კომედია 3-ს მოქმედებად, მოლიერისა.

**ბნელ ოთახში**

ვოდევილი ერთ მოქმედებად.

ბილეთები ისყიდება რონინოვის ფოტოგრაფიაში, და წარმოდგენის დღეს, თეატრში კასსირთან.

დაიწყობა საღამოს $7^1/_2$ საათზე.

(2—1)

---

პარასკევს 20 აპრილს ალექსანდროვის ბაღში იქნება კონცერტი ავსტრიის კაპელლა **მატუშკა** კაპელმეისტერის **შტრალის**

ამ კონცერტის ხელმძღვანელობით ნახევარი შემოსავალი სახელოსნო შკოლის სასარგებლოთ გარდაიცემა.

ბაღი გაჩირაღდნებული იქნება. კონცერტი დაიწყობა 6 საათზე საღამოს. შესასვლელი ფასი: კაცებისათვის 50 კაპ. ქალებისათვის 30. კაპ. და ყმაწვილებისათვის 15 კაპ. ბილეთები შეიძლება იყიდონ შენინგის რესტორანში და კონცერტის დროს ბაღის შესავალ კარებთან.

ცუდი დარის გამო კონცერტი გადიდება შემდეგისათვის. ამ კონცერტის პროგრამმა თვითონ ბილეთებზე იქნება დაბეჭდილი.

(1—2)

---

უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ქუთაისში—უფ. პ. მესხის მაღაზიაში **ისყიდება**

## „ვაი ჭკუისაგან"

კომედია ოთხ მოქმედებად გრიბოედოვისა. ნათარგმნი გრ. ა. წინამძღვაროვის-მიერ.

ფასი—ექვსი შაური

---

**წასვლის გამო ისყიდება პიანინო, გარმონია—ფლიუტ და უბრალო მებელი სოლოლაკზე სადოვის ქუჩაზე მელიქოვის სახლებში № 43 ჰკითხეთ ბიჭს სტეფანეს.**

---

**გაიმართა სახელოსნო** რომელშიაც მსურველს შეუძლიან გააკეთებინოს შემდეგი სამეურნეო იარაღები:

კევრი ნიკ. ავალიშვილისა.

მატარებელი (приводъ) ამ კევრისათვის, თ. ერ. ჩოლოყაშვილისებური, ამ ჟამად გაუკეთესებული მისგანვე.

მატარებელი (приводъ) ისევ ამ კევრებისათვის, ნიკ. ავალიშვილისებური, მეხანიზმოთი. საჭიროდ ვრაცხავ ვაცნობო მეურნეთა, რომ ხსენებული კევრი შარშანდელ კვალობაზედ ახლა დიალ გაუკეთესებულია, და თუ რამ დამატება და შეცვლა ეჭირებოდა ახლა შეცვლილია და შესრულებული იმ დამატებაებითა.

ამ იარაღების შემოკვეთა ვისაცა ჰსურს, უნდა მიჰმართოს ნ. ავალიშვილს სოლოლაკზედ, პოჯორის ქუჩაზედ, ამბარცუმოვის სახლში, № 2, ნაშუადღევის 4-ან 7 საათამდის.

---

**უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში**

**ისყიდება ყოველნაირი ახალი ქართული წიგნები.**

მაღაზია იმყოფება ბაღის ზემოდამ, ქაშვეთის ეკკლესიის ქვევით დუქნებში. გარემე პირებს შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ წიგნები: Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквіани.

---

**თფილისში** უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და **ქუთაისში** უფ. პეტრე მესხის წიგნისვე მაღაზიაში **ისყიდება:**

# ალმანახი

შედგენილი
გ. თუმანიშვილისაგან
წიგნი მეორე
გამოცემული გ. ჩარკვიანისაგან
ფასი—ორი აბაზი

---

დაიბეჭდა და ისყიდება
საქართველოს

# კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული ექ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. გორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: პ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, გრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

**ისყიდება** უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

---

**ვართანოვის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:**

**დედა-ენა**, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო შკოლებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, მეორე შესწორებული გამოცემა. ფასი ექვსი შაური, ყდაში გადაკრული ცხრა შაური. თუ რომელიმე შკოლა იყიდის ერთათ ოც-და-ათ ეგზემპლიარსა, ან რომელიმე კერძო პირი ასსა, ეგზემპლიარი დაეთმობა უყდო ხუთ შაურათ, ყდიანი ორ აბაზათა.

**ბუნების კარი**, ანუ საკითხავი წიგნი, დაბალ კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა, შევსებული და შემკული სურათებით და საქართველოს კარტით; ფასი ხუთმეტი შაური. ეგზემპლიარი დაეთმობა თოთხმეტ შაურათ, ვინც ერთათ იყიდის თხუთმეტ ეგზემპლიარსა,—ცამეტ შაურათ, ვინც ერთათ წაიღებს ოც-და-ათ ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ ასი ეგზემპლიარის ერთათ მყიდველსა. ისაც ჰსურს ყდაში გადაკრული ვიილოს, უნდა ამ ფასს დაუმატოს სამი შაური.

**საყმაწვილო კონა** პირველ დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, გამოცემა პირველი, ფასი ექვსი შაური.

**პატარა ბიბლიოთეკა**, პირველი წიგნი, შეიცავს სამს საყმაწვილო მოთხრობასა; ფასი ორი შაური.

აქვე ისყიდება ყველა ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები.

## ლექსები
# „სიყვარული“

შედგენილი ანთ. ჯუღელისაგან გამოვიდა და იყიდება თფილისში ჩარკვიანის, ვართანოვის, გრიქუროვის და სხვა წიგნის მაღაზიებში და „ივერიის“ რედაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას, გ. თოფურიძის დუქანში და აბაშის სტანციაზე პ. მელიქოვის დუქანში, ზესტაფონს ჩუბინიძის და კოსტავასდუქანში.

**ფასი** ორი შაური. ოცს ეგზემპლიარს ვინც იყიდის ერთად, მას თითო ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კაპ. მეტს ვინც იყიდის იმას შვიდ კაპეიკათ.

---

**პირუტყვების ექიმი ნ. ი. მეშჩერსკი** ყოველს დღეს მიიღებს ავათმყოფს პირუტყვებს. ქ. თფილისში 4-ს საათიდან 5 საათამდისინ შუადღის შემდეგ და ეგრეთვე უეზდში ვინც მიიწვევს პირუტყვების საექიმოთ სხვა და სხვა საქონლის მოსარჩენლათ წავა. სცხოვრებს რიყეზედ, აჰნაზაროვის სახლში.

(3—2).

---

პირველ მაისიდამ დავიწყობ თბილისში მოზიდვას ტყის მასალებს ოთხი და ხუთი წლის დახერხილებს ფიჭვის და ელის ხეებს ძალიან ხმელს. აქ იმაზედ უკეთესი მასალა არ მოიპოვება და ამიტომ ვთხოვ მსურველს მომმართოს მი არსენალის ქუჩაზე შულინოვის სახლეობში № 31.

(3—3)

---

**„ქუთაისის ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოების“ წევრნი, გამგეგელი კამიტეტის გადაწყვეტილებისალით, მოწოდებულნი არიან ამ აპრილის 22-ს არა ჩვეულებრივ საზოგადო კრებად.** (3—3)

---

## ქუთაისში
# ქ. მესხის წიგნის მაღაზიაში
### ისყიდება შემდეგი წიგნები:

1) **სიტყვანი და მოძღვრებანი**— თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.

2) **იგივე**, უკეთესს ქაღალდზე დაბეჭდილი. ფასი 2 მან.

3) **რუსული ენის დასაწყისი კურსი ქართველთათვის** (Практическій начальный курсъ рус. языка для друзинъ) —შედგენილი გ. კ—შვილის მიერ. ფასი—60 კაპ. ვინც 20 წიგნზე მომეტებულს იყიდის, ეგზემპლიარი აეთმობა 50 კაპეიკად.

4) **დედა ენა**—ი. გოგებაშვილისაგან, 30 კ.

5) **სიბრძნე სიცრუის წიგნი.** ფასი — — — — — 50 კაპ.

6) **ბუნების კარი**—ი. გოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.

7) **პატარა ბიბლიოთეკა**—იმისივე — — — — — — 10 —

8) **ლოცვანი**, შედგენილი მღვ. ღამბაშიძისაგან — — — 20 —

9) **ნინო**, მოთხრობა თ. რაფ. ერისთვისა— — — — — 15 —

10) **თამარ ბატონიშვილი**—დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —

11) **არანკა**, პოემა გ. წერეთლისა — — — — — — 20 —

12) **სამზარეულო**, ბარ. ჯორჯაძისა — — — — — 50 —

13) **ყარამანიანი**—პირველი ექვსი წიგნი— — — 30 კ. და 40 კაპ.

14) **რძალი მული და მაშენიკები**—კომ. თუთაევისა— — — 30 —

15) **ქართული კალენდრები** 15—

16) **სახარება** — — — 25—

17) **„ბუტიაობა“** ვოდევილი აკაკისა — — — — — 20 —

18) **„ვაი ჭკუისაგან“** კომედია გრიბოედოვისა, ნათარგმნი გ. წინამძღვაროვისაგან — — — — 40 —

19) **სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი** — — — — 30 —

20) **მგოსანი—ლექსები**—20 —

21) **ანუკა ბატონიშვილი** 20 —

აქვე ისყიდება ყოველნაირი სახელმძღვანელო წიგნები რუსულს ენაზე კარტები, ატლასები, კალენდრები, რვეულები, კარანდაშები, მელანი, ქაღალდი, სურათები საქართველოს მეფეებისა და სხვ. და სხვ.

**სასოფლო შკოლებს ყოველგვარი წიგნები მიეცემა ნაკლებ ფასათ.**

მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში, კლუბის ქვეშ.

---

### გამოვიდა და ისყიდება
# „ბუტიაობა“
ვოდევილი
### აკაკი წერეთლისა

**ისყიდება:** ჩარკვიანის, ვართანოვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოში—ბულვარზე.

ქუთაისში—უფ. კ. მესხის წიგნის მაღაზიაში.

**ფასი—ერთი აბაზი.**

---

# „ჰაერ ოსტატი“
კამედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება
### მ. ჯორჯაძისა

---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილის | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

### ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის | 4 |
| დაბეჭდილის (ხამი მისხალი) | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 13 აპრილს. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ. | 1 | 60 |
| ფქვილი წითელი | 1 | 3 |
| ქერი ფუთი | 1 | 25 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 7 | 30 |
| —ამერიკისა, ფუთი | 8 | 40 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი | 9 | 60 |
| მატყლი თუშური ფუთი | 6 | 50 |
| —თარაქამისა ფუთი | 3 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი | 5 | 50 |
| ქონის სანთელი ფუთი | 7 | 55 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 50 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | 1 | 8 |
| —ცხვრისა, ლიტრა | 1 | 8 |
| სპირტი ვედრო | 4 | 60 |
| შაქარი, გროც. ფუთი | 7 | 35 |
| —ფხვნილი ფუთი | 5 | 60 |
| ყავა გრგვალი, გირვ. | — | 65 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი | 11 | 80 |
| თამბაქო, ხაშური ფთ. | 7 | 40 |

### თფილისის სამკურნალო.

ერევნის მოედანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

**ორშაბათს:** ვერმიშევი და გარალევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

**სამშაბათს:** ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

**ოთხშაბათი:** ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

**ხუთშაბათს:** ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

**პარასკევს:** ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

**შაბათს:** ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

*Дозволено цензурою. Тифлисъ 18 Апрѣля 1879 г.* *Типографія Меликова.* გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.